

გირავნობის ხელშეკრულება – №XX.XXXXXX.XXX

წინამდებარე გირავნობის ხელშეკრულება დაიდო შემდეგ მხარეებს შორის:

მოგირავნე:

სს მისო „ქართული კრედიტი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 206238800, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, გურამ ფანჯიკიძის I შეს. N8. წარმოდგენილი მისი დირექტორის სახელი გვარი (პირადი № XXXXXXXX) მინდობილი პირის ფილიალის მენეჯერის სახელი/გვარი (პირადი № XXXXXXXX) (მინდობილობის საფუძველზე, გაცემული dd.mm.yyyy წ. რეესტრის ნომერი: № XXXXX) სახით.

დამგირავებელი:

სახელი/გვარი (დაბადებული: პირადი № XXXXXXXX. საიდენტიფიკაციო დოკუმენტის № xxxxxx, გაცემული dd-mm-yyyy წ. იუსტიციის სამინისტრო მიერ. რეგ. მისამართი: ; ფაქტ. მისამართი:

წინამდებარე გირავნობის ხელშეკრულებაში აღნიშნული მსესხებელი:

სახელი/გვარი, პირადი №

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მოგირავნესა“ და „მსესხებელს“ შორის dd.mm.yyyy წელს გაფორმებული № X.XXXXXX.XXX გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებისა (შემდგომში „გენერალური ხელშეკრულება“) და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, „მსესხებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად „დამგირავებელი“ „მოგირავნის“ სასარგებლოდ რეგისტრირებული გირავნობის უფლებით ტვირთავს თავის კუთვნილ მოძრავ ქონებას - ავტომობილს, რომლის აღწერაც მოცემულია ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების ძალით, მოგირავნე უფლებამოსილია „გენერალური ხელშეკრულების“ საფუძველზე მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, უპირატესი წესით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა რეგისტრირებული გირავნობის უფლებით დატვირთული ქონების რეალიზაციის ან საკუთრებაში მიღების გზით.

1.3. სესხის გაცემა ხდება გენერალური ხელშეკრულების (ლიმიტის ოდენობა - xxx ლარი) ფარგლებში, რომელიც მოქმედია შემდეგი XX თვის ვადით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ზემოაღნიშნული ლიმიტის ფარგლებში მსესხებელზე დამატებით კრედიტის გაცემის შემთხვევაში, კრედიტის გაცემაზე თქვენი დამატებითი თანხმობა არ იქნება საჭირო და თქვენი ქონების უზრუნველყოფის მოცულობა გავრცელდება გენერალური ხელშეკრულების უზრუნველყოფის ფარგლებში გაცემულ ყველა კრედიტზე.

2. გირავნობის საგნის აღწერა

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით გირავნობის საგანია: მესაკუთრის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება - ავტომანქანა -xx, მოდელი -xx, რეგისტრაციის №, გამოშვების წელი, ფერი, საიდენტიფიკაციო №, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის №, გაცემული.

2.2. გირავნობის საგანზე ინფორმაცია დასტურდება, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობით გაცემული: XX.

2.3. დამგირავებელი ადასტურებს, რომ (ა) გირავნობის საგანი არ არის სადავო, მესამე პირებს არ შეიძლება რაიმე პრეტენზია ჰქონდეთ გირავნობის საგნის მიმართ; (ბ) წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის მას გირავნობის საგანი არც ერთ სამართლებრივ გარიგებაში არ გამოუყენებია (გ) არ არის აღძრული რაიმე სარჩელი მესამე პირის მიერ გირავნობის საგანზე საკუთრების, სარგებლობის ან სხვა სანივთო უფლების მოპოვების მოთხოვნით. „დამგირავებელს“ ეკისრება პასუხისმგებლობა „მოგირავნის“ წინაშე ამ მუხლში აღნიშნული გარანტიების დარღვევით „მოგირავნისათვის“ მიყენებული ზიანისათვის.

2.4. გირავნობით დატვირთული ქონება რჩება დამგირავებელის მფლობელობაში და გირავნობის უფლება რეგისტრირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.

2.5. ყოველგვარი გაუგებრობების გამოსარიცხად, მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულებით დადგენილი გირავნობა ვრცელდება:

2.5.1. ყველა ქონებრივ ფასეულობაზე, რომელსაც მოიცავს გირავნობის საგანი, მათ შორის მის არსებით შემადგენელ ნაწილზე.

ამ ხელშეკრულებით წარმოშობილი გირავნობის უფლება ვრცელდება ნივთების გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე, გირავნობის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნივთზე;

2.5.2. გირავნობის საგნის ყველა სხვა გაუმჯობესების მიმართ.

2.6. გირავნობა ამ ხელშეკრულების მიხედვით არის პირველი რიგის.

3. გირავნობის საგნით უზრუნველყოფილი ვალდებულება

3.1. გირავნობით უზრუნველყოფილია მსესხებლის მიერ „გენერალური ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. გენერალური ხელშეკრულების მიხედვით:

- 3.1.1. მსესხებლის გენერალური საკრედიტო ლიმიტი განისაზღვრება xxxx (თანხა სიტყვიერად) (ექვივალენტი აშშ დოლარში, ევროში) ოდენობით.
- 3.1.2. საპროცენტო განაკვეთი: წლიური $x\%$ -დან $x\%$ -ის ოდენობით.
- 3.1.3. პირგასამტეხლო: ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 0% -დან $0.5x\%$ -ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
- 3.1.4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: xx თვე.

3.2. მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა დაკმაყოფილდეს უზრუნველყოფილი მოთხოვნა შეადგენს xxx (თანხა სიტყვიერად) (ექვივალენტი ლარში, ევროში).

3.3. გირავნობით უზრუნველყოფილია სესხის თანხა მთლიანი მოცულობით, სესხის თანხაზე დარიცხული სარგებელი, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისას პირგასამტეხლოს სახით დარიცხული თანხა, შესაძლო ზიანი, სასამართლო და აღსრულების, აუქციონის, აგრეთვე „გენერალურ ხელშეკრულებას“ და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი, რომელიც ეკისრება მსესხებელს.

3.4. გირავნობის საგნით უზრუნველყოფილია მოგირავნის მოთხოვნა სრულად, იმ მოცულობით რა მოცულობითაც იგი არსებობს გირავნობის საგნით მოგირავნის მოთხოვნის დაკმაყოფილების მომენტისათვის.

4. დამგირავებლის განცხადებები და გარანტიები

4.1. დამგირავებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

- 4.1.1. არის გირავნობის საგნის მართლზომიერი მესაკუთრე და აქვს ამ ხელშეკრულების დადების მართლზომიერი უფლებამოსილება;
- 4.1.2. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ნებაყოფლობით, მუქარის, ძალადობის, მოტყუების, შეცდომის ან სხვა მსგავსი გარემოებების არსებობის გარეშე;
- 4.1.3. მისთვის ცნობილია, რომ გირავნობის საგანი იტვირთება მსესხებლის მიმართ არსებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად და რა სახის და რა მოცულობის არსებული თუ სამომავლო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ტვირთავს ქონებას მოგირავნის სასარგებლოდ;
- 4.1.4. არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სტატუსით), რითაც საფრთხე შეიძლება შეექმნას მის საკუთრების უფლებას გირავნობის საგანზე ან/და ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებას;
- 4.1.5. დეტალურად იცნობს „გენერალური ხელშეკრულების“ ტექსტს და გასაგებია მისი შინაარსი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. დამგირავებელი ვალდებულია გირავნობის საგანს ჯეროვნად მოუაროს, არ დაუშვას მისი დაზიანება ან/და განადგურება და შეინარჩუნოს გირავნობის საგნის რეალური ღირებულება. მოგირავნეს აქვს უფლება დოკუმენტებით და ფაქტიურად შეამოწმოს გირავნობის საგნის არსებობა, მდგომარეობა და შენახვის პირობები, მოსთხოვოს დამგირავებელს მიიღოს ყველა საჭირო ზომა გირავნობის საგნის შენარჩუნებისათვის, აგრეთვე, თუ გირავნობის საგნის არსებობას საფრთხე შეექმნა, დამგირავებელს განუსაზღვროს შესაბამისი ვადა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მოგირავნეს აქვს უფლება მოითხოვოს გირავნობის საგნის მისთვის სამართავად გადაცემა, თუ ირკვევა, რომ დამგირავებელი არ/ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს.

5.2. დამგირავებელი უფლებამოსილია ისარგებლოს გირავნობის საგნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოგირავნე ამ მუხლით განსაზღვრული საფუძვლით ითხოვს გირავნობის საგნის მისთვის სამართავად გადაცემას.

5.3. მოგირავნე უფლებამოსილია: ა) თუ ვითარების გაუარესების გამო გირავნობის საგნის არსებობას საფრთხე შეექმნება, დამგირავებელს განუსაზღვროს შესაბამისი ვადა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად; ბ) გირავნობა და მის საფუძვლად არსებული მოთხოვნა გადასცეს (დაუთმოს) მესამე პირს (სესხი და გირავნობის უფლება გადასცეს სხვა პირს); გ) განახორციელოს გირავნობის საგნის ან მისი ნებისმიერი ნაწილის რეალიზაცია ან მოითხოვოს მისი საკუთრებაში მიღება, თუ მსესხებელი არ გადაიხდის სესხს. დ) მოითხოვოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის მოწმობის გაცემა გირავნობის საგანზე.

5.4. დამგირავებელი ვალდებულია „მოგირავნეს“ წინასწარ, არანაკლებ 15 (თხუთმეტი) დღით ადრე აცნობოს გირავნობის საგნის სხვა ნებისმიერი ვალდებულებით დატვირთვის, გაყიდვის, გაჩუქების, გაქირავების, გაცვლის ან/და გირავნობის საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგების დადების საკითხი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგირავნეს გააჩნია „გენერალური ხელშეკრულებითა“ და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნის დაუყოვნებლივი დაკმაყოფილების უფლება. გირავნობის საგნის მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება გირავნობის საგნის იძულებითი რეალიზაცია ამ ხელშეკრულების შესაბამისად, „მოგირავნის“ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად), მოგირავნის ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი გირავნობის საგნის მიმართ უცვლელი რჩება.

5.5. გირავნობის საგნის გასხვისება ან/და შემდგომი დაგირავება დასაშვებია მხოლოდ მოგირავნის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

5.6. დამგირავებელი ვალდებულია გაიღოს გირავნობის საგნის შენახვის ხარჯები გირავნობის შეწყვეტის რეგისტრაციის მომენტამდე.

5.7. დამგირავებელი ვალდებულია დააზღვიოს გირავნობის საგანი.

5.8.

დამგირავებელი ვალდებულია გადაიხადოს ამ ხელშეკრულების დადებასთან, რეგისტრაციასთან, ცვლილება/დამატებების შეტანასა და რეგისტრაციასთან, გაუქმებასა და გაუქმების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ყველა გადასახდელი.

5.9. დამგირავებელი ვალდებულია გირვანობის საგნის დაკარგვის, დაზიანების, ღირებულების შემცირების ან/და განადგურების შემთხვევაში, ასეთი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა უზრუნველყოს იმავე ღირებულებისა და მოგირავნისათვის მისაღები სხვა ქონების დაგირავება მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

5.10. გირვანობის საგანთან დაკავშირებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაციის შემთხვევაში, დამგირავებელი ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შეწყვეტის რეგისტრაცია მისი წარმოშობიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

5.11. მოგირავნე უფლებამოსილია მოითხოვოს, დამგირავებელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა და ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით დადებული ნებისმიერი გარიგების ბათილობა.

6. მოგირავნის ინტერესების დაკმაყოფილება, გირვანობის საგნის რეალიზაციის წესი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნული „გენერალური ხელშეკრულებით“ ან მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოგირავნე უფლებამოსილია მიიღოს დაკმაყოფილება გირვანობის საგნიდან.

6.2. მოგირავნე უფლებამოსილია მოითხოვოს გირვანობის საგნის რეალიზაცია „გენერალური ხელშეკრულების“ ან მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ნებისმიერი სახით დარღვევის შემთხვევაში.

6.3. მესაკუთრეს ეკისრება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გირვანობის საგნის რეალიზაციის, სასამართლო, სააღსრულებო, აუქციონის და ყველა სხვა თანამდევნი ხარჯები.

6.4. მხარეები იყენებენ რა მათთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინიჭებულ უფლებამოსილებას და თანხმდებიან, რომ გირვანობის საგნის რეალიზაციის ფორმასა და წესს ადგენს მოგირავნე. გირვანობის საგნის რეალიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ მოგირავნის მიერ, რომელიც უფლებამოსილია გირვანობის საგნის რეალიზაცია განახორციელოს პირდაპირი მიყიდვის გზით, დანიშნოს აუქციონი ან რეალიზაციის განხორციელების უფლება მიანიჭოს სხვა მესამე პირს. აუქციონს ჩაატარებს მოგირავნის მიერ შერჩეული სპეციალისტი. აუქციონის პირობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ხოლო საკომისიო გირვანობის საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებით განისაზღვრება აუქციონის შესაბამისი დებულებით.

6.5. მოგირავნე უფლებამოსილია გირვანობის საგნის რეალიზაცია განახორციელოს სასამართლოსათვის მიმართვისა და სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებითი აღსრულების გზით.

6.6. გირვანობის საგნის რეალიზაციის განხორციელება შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მეშვეობით.

6.7. მოგირავნე უფლებამოსილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260¹ მუხლის საფუძველზე პირდაპირ მიიღოს საკუთრებაში გირვანობის საგანი. აღნიშნული მიზნით ეს ხელშეკრულება განიხილება მხარეთა ერთობლივ განცხადებად გირვანობის საგანზე მოგირავნის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ და შსს მომსახურების სააგენტო ვალდებულია მოგირავნის განცხადების საფუძველზე, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში თან დაერთვება ამ ხელშეკრულების ასლი, გირვანობის საგნის მესაკუთრედ დაარეგისტრიროს მოგირავნე.

6.8. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ გირვანობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა არ არის საკმარისი გირვანობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარად ან/და გირვანობის საგნის პირდაპირ საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, თუ გირვანობის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს მოგირავნის მოთხოვნის ოდენობას, უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა არ ჩაითვლება სრულად დაკმაყოფილებულად, არამედ მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ ნაწილში, რასაც დაფარავს საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა.

6.9. მოგირავნე უფლებამოსილია მოითხოვოს აღსრულების მიქცევა მსესხებლის ნებისმიერ ქონებაზე (ნებისმიერ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, მათ შორის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ შეძენილ ქონებაზე), მიუხედავად იმისა, უზრუნველყოფილია თუ არა მსესხებლის ვალდებულება სანივთო უფლებით.

7. დავის გადაწყვეტის წესის შესახებ

7.1. ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ამ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, გადაწყდება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით

7.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ან მასთან დაკავშირებული დავები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განიხილება საქართველოს სასამართლოს მიერ.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებული მისოს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად;

8. სხვა პირობები

8.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი შეტყობინება/გაფრთხილება (შემდგომში „გზავნილი“) ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება: ა) ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ადრესატისათვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის ჩაბარებით; ბ) ადრესატისათვის პირადად ჩაბარებით. გზავნილი ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც თუ: ა) ადრესატმა ან მისამართზე მყოფმა სხვა პირმა უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე; ბ) საფოსტო მომსახურების გამწევი პირის ინფორმაციით ადრესატი არ ცხოვრობს მითითებულ მისამართზე და მისამართის შეცვლის შესახებ წერილობით არ შეუტყობინებია ხელშეკრულების მხარისათვის; გ) გზავნილის პირველად ჩაუბარებლობის შემთხვევაში გამგზავნი განახორციელებს

გზავნილის ჩაბარების კიდეც ერთ მცდელობას ადრესატისათვის გზავნილის ხელმოწერედ გაგზავნით.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაში რჩება ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნული „გენერალური ხელშეკრულებით“ და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

8.3. მხარეთა შეთანხმებით, ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას მხარეთა შორის, აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულება ვრცელდება მხარეთა უფლებამონაცვლეზე ან/და სამართალმემკვიდრეზე.

8.5. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარდგენილი იქნება შსს მომსახურების სააგენტოში, თითო ეგზემპლარი მიეცემათ მხარეებს.

8.6. დამგირავებელი ვალდებულია დაფაროს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერასთან და შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

8.7. მესაკუთრე, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულების პირობებთან ერთად, დეტალურად გაეცნო, გამსესხებლის ოფისებში საჯაროდ გამოქვეყნებულ სესხის პირობებს და გამსესხებლის ვებ-გვერდზე <https://georgiancredit.ge/generalterms> განთავსებულ მომსახურების ზოგად პირობებს, რაც მოიცავს საკრედიტო ოპერაციების განხორციელების წესს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

9. მხარეები თანხმდებიან, რომ დავალიანებული სესხის მართვა/ამოღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ქართული კრედიტის ცხელი ხაზის ნომერზე (+995 32) 2-500-100.

თითოეული მხარე იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში თითოეული მათგანისთვის გადაცემული პერსონალური მონაცემების მიმართ იქნება მიღებული კანონმდებლობით მოთხოვნილი (მათ შორის, „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით) შესაბამისი უსაფრთხოების ზომები. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მომხმარებელი ასევე თანხმობას აცხადებს, რომ სს მისო „ქართულმა კრედიტმა“ განახორციელოს, საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ გათვალისწინებული, მესაკუთრის პერსონალური მონაცემების (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების) დამუშავება (შეგროვება/დამუშავება, შენახვა, დაარქივება) კერძოდ: წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების, შეთავაზების, პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების მიზნით, ასევე მის მიერ მოწოდებული სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული მონაცემები, როგორცაა ოჯახური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია ოჯახის წევრების (მეუღლის, მშობლების, მათ შორის შვილების შესახებ), საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაცია.

თქვენ ხელმოწერით ადასტურებთ, რომ აცნობიერებთ სესხის უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი ქონების დაკარგვასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ მსესხებელმა სრულად არ დაფარა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტთ სს მისო „ქართულ კრედიტში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს მისო „ქართული კრედიტი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

10. მხარეთა რეკვიზიტები

მოგირავნე

დამგირავებელი

სს მისო „ქართული კრედიტი“
206238800

სახელი/გვარი
კ/ნ

რეგ. მის: გურამ ფანჯიკიძის I შეს. N8, თბილისი, საქართველო.

საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი:

ტელ: 2 500 100

გაცემის თარიღი:

ვილიალის მენეჯერი:

რეგ. მის:

ფაქტ. მის:

ტელ:

სახელი/გვარი